საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ იოსებ ხარებავას

კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური
დეპარტამენტის უფროსის
რატი სხირტლაძის

## სამსახურებრივი ბარათი

ბატონო იოსებ,

თქვენი 2015 წლის 19 მარტის №10/1164-15 სამსახურებრივი ბარათის პასუხად დამატებით გიგზავნით, 2015 წლის 8 აპრილის 14 საათის მდგომარეობით ტელეკომპანია „I სტერეოს" მიერ კომისიის საერთო-სტატისტიკურ ბაზაში წარმოდგენილ მონაცემებს. ასევე მოგახსენებთ რომ ტელეკომპანია „I სტერეო" ფორმა 5.4-ში (საბითუმო ინტერნეტის შესყიდვა/გაყიდვა) წარმოადგენს ინფორმაციას ინტერნეტის საბითუმო შესყიდვის შესახებ, რომელსაც ახორციელებს სს "სილქნეტისგან", ხოლო სს "სილქნეტის" მონაცემებით ტელეკომპანია „I სტერეოსთვის" საბითუმო ინტერნეტის მიყიდვა მოცემულ პერიოდში არ ფიქსირდება.

დანართი 6 ფურცელი

პატივისცემით,
რ. სხირტლაძე

№10/1793/15
8.04.15
1+6

# დანართი

## კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემები*

ფორმა 1.1 (შემოსავლები)

| თარიღი | საცალო/საბითუმო | მომსახურება და ქვეკატეგორია | შემოსავალი | დღგ | აქციზი |
|---|---|---|---|---|---|
| 2014-Jan | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 0 | 0 | 0 |
| 2014-Feb | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 34 | 6 | 0 |
| 2014-Mar | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 34 | 6 | 0 |
| 2014-Apr | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 51 | 9 | 0 |
| 2014-May | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2014-Jun | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2014-Jul | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2014-Aug | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2014-Sep | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2014-Oct | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2014-Nov | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2014-Dec | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2015-Jan | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |
| 2015-Feb | საცალო | ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საბონენტო გადასახადი | 68 | 12 | 0 |

* [illegible]

# დანართი

## კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემები*

### ფორმა 1.5 (მაუწყებლების ფინანსები)

| თარიღი | მაუწყებლობის სახე | მომსახურების სახეობა | შემოსავალი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 2014-Jan | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 27,182 | |
| 2014-Feb | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 30,690 | |
| 2014-Mar | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 30,659 | |
| 2014-Apr | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 31,066 | |
| 2014-May | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 31,083 | |
| 2014-Jun | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 31,034 | |
| 2014-Jul | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 30,555 | |
| 2014-Aug | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 30,453 | |
| 2014-Sep | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 30,741 | |
| 2014-Oct | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 30,776 | |
| 2014-Nov | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 43,721 | |
| 2014-Dec | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | 47,692 | |

* გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კომისიის საერთო-სტატისტიკურ ბაზაში მონაცემებს კომპანიები თავად ტვირთავენ. ამასთანავე, ოპერატორებს უფლება აქვთ დააზუსტონ გასული პერიოდის მონაცემები, რის გამოც აღნიშნულ მონაცემებში მომავალში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები

# დანართი

## კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემები*

### ფორმა 1.6 (მაუწყებლისთვის გაწეული მომსახურებები)

| თარიღი | მაუწყებლობის სახე | მომსახურების სახე | ფასიანი/უფასო მომსახურება | მომსახურების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 2014-Jan | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | ფასიანი | 36,177 | |
| 2014-Jan | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | ფასიანი | 32,074 | |
| 2014-Jan | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | ფასიანი | 36,214 | |
| 2014-Apr | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | ფასიანი | 36,657 | |
| 2014-Apr | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | ფასიანი | 36,620 | |
| 2014-Apr | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | ფასიანი | 36,678 | |
| 2014-Jul | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | ფასიანი | 108,265 | |
| 2014-Oct | ტელევიზია | საეთერო დროის გაყიდვა | ფასიანი | 144,184 | |

* გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კომისიის საერთო-სტატისტიკურ ბაზაში მონაცემებს კომპანიები თავად ტვირთავენ. ამასთანავე, ოპერატორებს უფლება აქვთ დააზუსტონ გასული პერიოდის მონაცემები, რის გამოც აღნიშნულ მონაცემებში მომავალში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები

# დანართი

## კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემები*

**ფორმა 4.1 (მონაცემთა გადაცემა ინტერნეტი)**

| თარიღი | დასახლებული პუნქტი | მფლობელობის ტიპი | ტექნოლოგია | პაკეტის მინ. სიჩქარე (მბ\\წმ) | პაკეტის მაქს. სიჩქარე (მბ\\წმ) | პაკეტი | პაკეტის ღირებულება | აბონენტები | შემოსავალი | დღე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2014-Feb | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Mar | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Apr | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Apr | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 17 | 3 |
| 2014-May | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-May | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Jun | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Jun | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Jul | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 2 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Jul | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Aug | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Aug | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Sep | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Sep | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Oct | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Oct | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Nov | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Nov | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Dec | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2014-Dec | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2015-Jan | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2015-Jan | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2015-Feb | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |
| 2015-Feb | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 | 34 | 6 |

* გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კომისიის საერთო-სტატისტიკურ ბაზაში მონაცემებს კომპანიები თავად ტვირთავენ. ამასთანავე, ოპერატორებს უფლება აქვთ დააზუსტონ გასული პერიოდის მონაცემები, რის გამოც აღნიშნული მონაცემები მომავალში შესაძლებელია შეიცავდეს ცვლილებებს

# დანართი

## კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემები*

### ფორმა 4.2 (მონაცემთა გადაცემა ინტერნეტი - აბონენტები კვარტალში)

| თარიღი | დასახლებული პუნქტი | მფლობელობის ტიპი | ტექნოლოგია | პაკეტის მინ. სიჩქარე (მბ\\წმ) | პაკეტის მაქს. სიჩქარე (მბ\\წმ) | პაკეტი | პაკეტის ღირებულება | აბონენტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2014-Jan | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 |
| 2014-Apr | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 |
| 2014-Apr | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 |
| 2014-Jul | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 |
| 2014-Jul | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 |
| 2014-Oct | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 |
| 2014-Oct | ქუთაისი | ფიზიკური | Wi-Fi | 1 | 1 | minx | 20 | 2 |

* გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კომისიის საერთო-სტატისტიკურ ბაზაში მონაცემებს კომპანიები თავად ტვირთავენ. ამასთანავე, ოპერატორებს უფლება აქვთ დააზუსტონ გასული პერიოდის მონაცემები, რის გამოც აღნიშნულ მონაცემებში მომავალში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები

# დანართი

კომისიის საერთო სტატისტიკური მიზნის მონაცემები*

ფორმა 5.4 (საბითუმო ინტერნეტის შესყიდვა გაყიდვა)

| თარიღი | შესყიდვა/გაყიდვა | კონტრაჰენტი ოპერატორი | ტერიტორიული/არატერიტორიული | დასახლებული პუნქტი | ჩამოტვირთვის სიჩქარე (Gb) | ატვირთვის სიჩქარე (Gb) | ტექნოლოგია | მომსახურების სახეობა | შემოსავალი/ხარჯი | ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2014-Feb | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Mar | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Apr | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 8 | 2 |
| 2014-Apr | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-May | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-May | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Jun | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Jun | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Jul | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Jul | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Aug | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Aug | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Sep | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Sep | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Oct | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | Wi-Fi | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Oct | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | Wi-Fi | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Nov | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | Wi-Fi | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Nov | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | Wi-Fi | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Dec | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | Wi-Fi | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2014-Dec | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | Wi-Fi | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 17 | 3 |
| 2015-Jan | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 27 | 6 |
| 2015-Jan | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 27 | 6 |
| 2015-Feb | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | ქუთაისი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 27 | 6 |
| 2015-Feb | შესყიდვა | სილქნეტი - (204566978) | ტერიტორიული | სენაკის რაიონი - ქ. სენაკი | 1 | 1 | ბოჭკო | ლოკალური და გლობალური ინტერნეტი | 27 | 6 |

* [illegible]

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ იოსებ ხარებავას

კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური
დეპარტამენტის უფროსის
რატი სხირტლაძის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო იოსებ,

თქვენი 2015 წლის 19 მარტის №10/1164-15 სამსახურებრივი ბარათის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „I სტერეო" 2010 წლის იანვრიდან 2014 სექტემბრის ჩათვლით ავსებდა სამაუწყებლო შემოსავლებს. აღნიშნულმა კომპანიამ, 2014 წლის 16 დეკემბერს, კორექციის მეშვეობით დააზუსტა 2013 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე (ჩათვლით) პერიოდის მონაცემები და სამაუწყებლო შემოსავლები წარმოადგინა როგორც ნულოვანი. დამატებით გაცნობებთ, რომ 2013 წლის სექტემბრიდან 2015 წლის იანვრამდე (ჩათვლით) პერიოდში შპს „I სტერეო" შემოსავლის წყაროდ მიუთითებს „მაუწყებლობის ტრანზიტი - ტექნიკური მომსახურებას".

ასევე გაცნობებთ, კომისიის 2011 წლის 25 მარტის 144/22 გადაწყვეტილების საფუძველზე, ავტორიზებულ/ლიცენზიის მფლობელ პირს საშუალება აქვს ისტორიულ მონაცემებში შეიტანოს ცვლილება ელექტრონულად კომისიის თავმჯდომარის სახელზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენის გარეშე.

პატივისცემით,
რ. სხირტლაძე

მოამზადა: ი. კირკიტაძემ

310/1417-15
19.03.15

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს რ. სხირტლაძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
ი. ხარებავას

## ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი  ბ ა რ ა თ ი

ბატონო რატი,

გაცნობებთ, რომ კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება შპს "I სტერეოს" კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიის სს "სილქნეტისთვის" გადაპირების თაობაზე. ზეპირი მოსმენა დანიშნულია 2015 წლის 2 აპრილს. აღნიშნული წარმოების მასალების (მათ შორის თქვენი სამსახურებრივი ბარათების) შესწავლის დროს გაირკვა რომ 2014 წლის ივლისის მდგომარეობით (სამსახურებრივი ბარათი 10/1106-14, 11.07.14) კომპანიას შემოსავლები ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არ უფიქსირდებოდა, ხოლო დეკემბრის მდგომარეობით (სამსახურებრივი ბარათი 10/2061-14, 12.12.14) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კომპანიის შემოსავლებმა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში 2014 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით შეადგინა 304,240.00 ლარი.

გთხოვთ გვაცნობოთ, რამ გამოიწვია ეს ცვლილება სტატისტიკურ ფორმებში და მოხდა თუ არა კომპანიისგან ზემოაღნიშნული ცვლილების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტაციის წარმოდგენა.

პატივისცემით,
ი. ხარებავა
19.03.2015წ.

№10/1164-15
19.03.15

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ელისო ასანიძეს

17.12.2014

კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური
დეპარტამენტის უფროსის
რატი სხირტლაძის

## მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 16 ოქტომბრის კომისიის N581/11 გადაწყვეტილების შესაბამისად ინფორმაციულ-ანალიტიკურ დეპარტამენტს დაევალა შპს "ტელეკომპანია 1 სტერეოს" F65 ლიცენზიის პირობების შესრულების შესწავლა. დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ კომისიის საერთო-სტატისტიკური ბაზის მიხედვით, შპს „ტელეკომპანია I სტერეოს" „მაუწყებლობის ტრანზიტი - ტექნიკური მომსახურებიდან" მიღებულმა შემოსავალმა, 2014 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, შეადგინა 304,240 ლარი დღგ-ს გარეშე.

პატივისცემით,

რ. სხირტლაძე

შემოსული №10/2061/14
12 12 2014
1+2 ფურცელი

# დანართი

## ტელეკომპანია I სტერეოს შემოსავლები ფორმა 1.1-ის მიხედვით

| service_subservice | 2014-Jan | 2014-Feb | 2014-Mar | 2014-Apr | 2014-May | 2014-Jun | 2014-Jul | 2014-Aug | 2014-Sep | 2014-Oct | Grand Total |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაუწყებლობის ტრანზიტი - ტექნიკური მომსახურება | 27,182 | 30,690 | 30,659 | 31,066 | 31,083 | 31,034 | 30,555 | 30,453 | 30,741 | 30,776 | 304,240 |
| Total | 27,182 | 30,690 | 30,659 | 31,066 | 31,083 | 31,034 | 30,555 | 30,453 | 30,741 | 30,776 | 304,240 |

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კომისიის საერთო-სტატისტიკურ ბაზაში მონაცემებს კომპანიები თავად ტვირთავენ. ამასთანავე, ოპერატორებს უფლება აქვთ დააზუსტონ გასული პერიოდის მონაცემები, რის გამოც აღნიშნულ მონაცემებში მომავალში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები

24.12.14წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

ბატონო ვახტანგ,

მოგახსენებთ რომ, კომისიის 2014 წლის 16 ოქტომბრის № 581/11 გადაწყვეტილებით რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს დაევალა შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" № F65 პირობების შესრულების მდგომარეობის შესწავლა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებითა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა.

როგორც საკითხის შესწავლისას გამოირკვა, კომისის მიერ 2007 წლის N 517 / 22 - 07 სექტემბერს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს "სატელიტსერვისი"-ს № F 29 ლიცენზიის მოდიფიცირების, „შპს "სატელიტსერვისი"-სთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ" კომისიის 2006 წლის 11 აგვისტოს №360/1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და შპს "სატელიტსერვისსა" და შპს "პირველ სტერეო"-ს შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № F 29 ლიცენზიის გადაპირების შესახებ.

ამავე გადაწყვეტილებით პირდაპირი გადაპირების წესით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № F29 ლიცენზიის მფლობელად განისაზღვროს შპს "პირველი სტერეო";

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F29 ლიცენზიისთვის განისაზღვრა შემდეგი სალიცენზიო პირობები:

შემოსულია №10/2141/14
22.12.14

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2.2გჰც-დან - 2.4 გჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში - ქ. ქუთაისის და სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის რაიონების ტერიტორიაზე;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 11 აგვისტომდე;

კომისიის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F29 ლიცენზიას გამოეყო რადიოსიხშირული სპექტრი და შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" კუთვნილ ლიცენზიას (2200მჰც-2350მჰც სიხშირული დიაპაზონი) მიენიჭა № F65.

2014 წლის 10-12 დეკემბრის პერიოდში, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მობილური სისტემის ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შპს "ტელეკომპანია I სტერეო" № F65 ლიცენზიით განსაზღვრული რადიოსიხშირული ზოლით (2200მჰც-2350მჰც სიხშირული დიაპაზონი) სარგებლობს ქუთაისსა და სენაკში, რაც ადასტურებს აღნიშნული კომპანიის მიერ № F65 ლიცენზის გამოყენებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას.

პატივისცემით,

ს. შავგულიძე

კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი

22.12.14

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის
დეპარტამენტის უფროსის სერგო შავგულიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ვახტანგ,

მოგახსენებთ, რომ კომისიის 2014 წლის 16 ოქტომბრის №581/11 გადაწყვეტილებით, დაგვევალა შპს „ტელეკომპანია I სტერეოს" რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 სალიცენზიო პირობებით, რადიოსიხშირული ზოლით (2200 მჰც - 2350 მჰც სიხშირული დიაპაზონი) სარგებლობის გადამოწმება.

მიმდინარე წლის 10 ÷ 12 დეკემბრის მივლინების პერიოდში, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მობილური სისტემის ინჟინრების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ტელეკომპანია I სტერეო" აღნიშნული დიაპაზონით სარგებლობს მხოლოდ ქ. ქუთაისსა და ქ. სენაკში.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგები მოცემულია დანართის სახით.

დანართი: 2 ფურცელი.

ს. შავგულიძე

პატივისცემით,

ს. შავგულიძე
15.12.2014 წელი

შემოსულია № 10/2081-14
15 12 2014
1+1 ფურცელი




ქ. ქუთაისი (ავტო ქარხანა) N42°15'41.33"; E42°36'46.08"




ქ. სენაკი (შპს „სილქნეტის“ ანძა) N42°17'22.8"; E42°03'28.7"

N 581 / 11 - 16 ოქტომბერი, 2014

## შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" კუთვნილი საოპერაციო აქტივის სს "სილქნეტის" მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას 2014 წლის 30 ივნისს ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს "ტელეკომპანია I სტერეომ" და სს "სილქნეტმა" (კომისიაში რეგისტრაციის №6/4253-14 26.06.2014), სს "სილქნეტის" მიერ შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" სარგებლობაში არსებული №F65 ლიცენზიის (რადიოსიხშირული ზოლი 2200მჰც-დან 2350მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში) ნაწილობრივ (რადიოსიხშირული ზოლი 2300მჰც-დან 2350მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში) გადაპირების განზრახვასთან დაკავშირებით.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, საოპერაციო აქტივის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შერწყმის ან შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომლის საოპერაციო აქტივის შეძენაც ხდება.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ48 პუნქტის თანახმად, საოპერაციო აქტივს წარმოადგენს არსებითი მნიშვნელობის მატერიალური და არამატერიალური აქტივი, რომლითაც ავტორიზებული პირი ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი, ადგილობრივი დაშვების ქსელი, მაგისტრალი, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო საშუალებები და ნაგებობები, საკანალიზაციო არხები, ჭები, ანძები, ბოძები, ასევე ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზია, რაც არსებითი მნიშვნელობისაა ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით;

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" ერთ-ერთმა პარტნიორმა დავით ზილფიმიანმა (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი 6/6181-14. 16.10.2014), რომლის თანახმადაც, განმცხადებელი ითხოვს კომისიამ გადადოს "შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" კუთვნილი საოპერაციო აქტივის სს "სილქნეტის" მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის შესახებ" გადაწყვეტილების მიღება, ვინაიდან შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" მიერ №F65 ლიცენზიის გადაპირება სცილდება კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობას და შესაბამისად, საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია პარტნიორთა კრების მოწვევა, რასაც ითვალისწინებს მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 I მუხლის მე-7 პუნქტი და ასევე შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" წესდების 6.7. მუხლი. დავით ზილფიმიანი გადაწყვეტილების მიღების გადადებას ითხოვს მის მიერ საკითხის შესწავლამდე.

კომისია აღნიშნავს, რომ ავტორიზებული პირის მიერ საოპერაციო აქტივის შეძენაზე თანხმობის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას კომისია ღებულობს ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნათა დაცვით. საოპერაციო აქტივის შეძენის განზრახვის თაობაზე შეტყობინების მიღებისას, კომისია ვალდებულია შეაფასოს აღნიშნული საოპერაციო აქტივის შეძენა მოახდენს თუ არა გავლენას ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ ლიცენზიის მფლობელის მიერ მისი კუთვნილი საოპერაციო აქტივის - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის პირდაპირი გადაპირების წესით, სხვა პირისთვის გადაცემაზე წინასწარი თანხმობის მიცემა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ლიცენზიის მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას' მის მფლობელობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია მართლზომიერად გადასცეს სხვა პირს. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილება ლიცენზიის მფლობელის კუთვნილი საოპერაციო აქტივის სხვა პირის მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე წარმოადგენს უფლებააღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილი და არა ვალდებულია განახორციელოს ლიცენზიის სხვა პირისთვის გადაცემა.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს ,,ტელეკომპანია I სტერეოს" და სს ,,სილქნეტის" ერთობლივ განცხადებას საოპერაციო აქტივის შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის მოთხოვნის თაობაზე (კომისიაში რეგისტრაციის №6/4253-14; 26.06.2014) ხელს აწერს ზვიად ამირიძე, რომელიც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, წარმოადგენს შპს ,,ტელეკომპანია I სტერეოს" ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირს. ის გარემოება, რომ შპს ,,ტელეკომპანია I სტერეოს" ერთ-ერთი პარტნიორი არ იყო ინფორმირებული შპს ,,ტელეკომპანია I სტერეოს" განზრახვის თაობაზე №F65 ლიცენზიის ნაწილობრივ გადაპირებასთან დაკავშირებით, ვერ გახდება კომისიის სხდომაზე განხილვის საგანი, ვინაიდან, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კომისია აფასებს მხოლოდ საოპერაციო აქტივის შეძენის შემთხვევაში ბაზარზე არსებული კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის საკითხს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ არ დააკმაყოფილა შპს ,,ტელეკომპანია I სტერეოს" ერთ-ერთი პარტნიორის დ. ზილფიმიანის მოთხოვნა კომისიის სხდომის გადადების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტი" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო

მომსახურების შემდეგ სახეებზე:

| | |
|---|---|
| A.F.1. | ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა |
| | სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; |
| | ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; |
| | სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; |
| | ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა. |
| A.F.3 | ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა |
| | არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; |
| | პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა. |
| A.F.4 | მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა |
| | სპილენძის წყვილების მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; |
| | ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; |
| | სპილენძის წყვილების მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; |
| | ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებებს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა. |
| A.F.5 | მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა |
| | რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა. |
| A.F.6 | საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა |
| | საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა. |
| A.F.7 | ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა |

ელექტრონული საკომუნიკაციო ანძების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

საბილინგო მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

საბონენტო (მომხმარებელთა) მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით, მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ელექტრონული პაკეტური საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით (SIP, H323 ), მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.M.1 ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

CDMA.

A.S.1 თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

ტექსტური შეტყობინების მომსახურება.

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

კომუტირებადი არხებით ინტერნეტ მომსახურება (dial-up);

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL);

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება;

CDMA.

B.F.3 მონაცემთა გადაცემა

მონაცემთა გადაცემა.

B.F.4 მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი.

B.M.1 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება.

B.M.2 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა

ტექსტური შეტყობინების მომსახურება;

მულტიმედიური მომსახურება;

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა);

მოძრავი ინტერნეტ მომსახურება;

მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება;

სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება.

B.S.2 ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით.

B.S.3 თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება.

B.F.6 გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand).

კომისია აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტი" "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-18 პუნქტის საფუძველზე, მართლზომიერად ფლობს ნუმერაციის რესურსს, რომლებიც გაცემულია შემდეგი ლიცენზიების საფუძველზე:

№N2 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N20 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N37 (გაცემის თარიღი 09.11.2011), №N51 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N89 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N90 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N92 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N93(გაცემის თარიღი 12.03.2010), №N94 (გაცემის თარიღი 23.02.2007), №N105(გაცემის თარიღი 12.03.2010), № N122 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N136 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N139 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N140 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N166 (გაცემის თარიღი 21.01.2011),

ამასთან, სს "სილქნეტი" ფლობს კომისიის შემდეგი გადაწყვეტილებებით მინიჭებულ ნუმერაციის რესურსს: №436/19 22.06.2012; №664/15 25.11.2011; №665/15 25.11.2011; №275/15 06.04.2012.

კომისია აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტი" ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგ ნებართვებს: №N14 (გაცემის თარიღი 27.04.2012), №N17 (გაცემის თარიღი 11.05.2012), №N22 (გაცემის თარიღი 25.05.2012), №N23 (გაცემის თარიღი 25.05.2012), №N28 (გაცემის თარიღი 29.06.2012), №N29 (გაცემის თარიღი 29.06.2012), №N36 (გაცემის თარიღი 06.07.2012), №N50 (გაცემის თარიღი 03.08.2012), №N52 (გაცემის

თარიღი 03.08.2012), №N53 (გაცემის თარიღი 03.08.2012), №N71 (გაცემის თარიღი 14.09.2012), №N72 (გაცემის თარიღი 14.09.2012), №N84 (გაცემის თარიღი 12.10.2012), №N85 (გაცემის თარიღი 12.10.2012), №N86 (გაცემის თარიღი 16.11.2012), №N91 (გაცემის თარიღი 22.11.2012), №N106 (გაცემის თარიღი 08.02.2013), № N121 (გაცემის თარიღი 22.03.2013), №N122 (გაცემის თარიღი 22.03.2013), №N127 (გაცემის თარიღი 12.04.2013), №N133 (გაცემის თარიღი 14.06.2013), №N137 (გაცემის თარიღი 28.06.2013), №N145 (გაცემის თარიღი 23.09.2013), №N165 (გაცემის თარიღი 04.10.2013), №N166 (გაცემის თარიღი 04.10.2013), №N173 (გაცემის თარიღი 29.11.2013), №N183 (გაცემის თარიღი 27.02.2014), №N188 (გაცემის თარიღი 11.04.2014), №N197 (გაცემის თარიღი 31.07.2014).

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტი" ფლობს:

ა) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F28 ლიცენზიას, რომელიც ითვალისწინებს რადიოსიხშირეებით სარგებლობას საქართველოს ტერიტორიაზე ციფრული რადიოსარელეო ხაზების სადგურების ფუნქციონირებისთვის.

ბ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F11 ლიცენზიას, რომელიც კომისიის 2013 წლის 9 სექტემბრის №553/19 გადაწყვეტილების შესაბამისად, სს "გაერთიანებული ტელეკომისაგან" გადაეცა დროებით სარგებლობაში, 2016 წლის 23 ივლისამდე. ლიცენზიით განსაზღვრული სიხშირეები "რადიოსიხშირული განაწილების ეროვნული გეგმის" მიხედვით გამოიყენება სისტემა კოდური დაყოფით და მრავალჯერადი დაშვებით CDMA-850 ტექნოლოგიისათვის.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "ტელეკომპანია I სტერეო" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

| | |
|---|---|
| A.F.2. | ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა<br><br>რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა. |
| A.F.5. | მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა |
| A.F.7. | რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.<br><br>ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა<br><br>მონაცემთა დამუშავების ინტერნეტ ცენტრის შესაბამისი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა |
| B.F.3. | მონაცემთა გადაცემა<br><br>მონაცემთა გადაცემა. |

შპს "ტელეკომპანია I სტერეო" ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № F65 ლიცენზიას, შემდეგი სალიცენზიო პირობებით: რადიოსიხშირული ზოლი: 2200 მჰც-დან - 2350 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში - ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის რაიონების ტერიტორიაზე;

შპს "ტელეკომპანია I სტერეო", როგორც მაუწყებელი, ფლობს კერძო მაუწყებლობის №B20 ლიცენზიას, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: კერძო მაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: საერთო ტელემაუწყებლობა;

და კერძო მაუწყებლობის №B19 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: კერძო მაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: საერთო ტელემაუწყებლობა;

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, სს "სილქნეტისა" და შპს ტელეკომპანია „I სტერეოს" მიერ ერთობლივი განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №6/4253-14 26.06.2014), კომისიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

- სს "სილქნეტის" საქმიანობის სახე და სარეგისტრაციო მონაცემები;
- შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" საქმიანობის სახე და სარეგისტრაციო მონაცემები;
- სს "სილქნეტის" მიერ საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე მიღებული შემოსავლები;
- შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" მიერ საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე მიღებული შემოსავლები;

- სს "სილქნეტის" წილების მფლობელთა შესახებ, ავტორიზებულ პირსა და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირს შორის ურთიერთობის შესახებ;

- შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" წილების მფლობელთა შესახებ, ავტორიზებულ პირსა და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირს შორის ურთიერთობის შესახებ;

კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის №10/1082-14 08.07.2014 სამსახურებრივი ბარათის და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების თანახმად, სს "სილქნეტის" აქციონერი და აქციების 100%-ის მფლობელია არარეზიდენტი იურიდიული პირი "Rhinestream Holdings Limited"-ი. "Rhinestream Holdings Limited"-ის პარტნიორები არიან: გიორგი რამიშვილი (წილის 61,9%-ის მფლობელი); ალექსი თოფურია (წილის 28,58% მფლობელი) და დავიდ ბორგერი (წილის 9,52%-ის მფლობელი). სს "სილქნეტის" დირექტორია ლევან ბუჩუკური. სს "სილქნეტი" ფლობს წილის 100%-ს კომპანიებში: შპს "ვაიმაქს ჯორჯია" და შპს "ნოვუსი", ხოლო წილის 85%-ს კომპანიაში შპს "საქართველოს მედია ქსელი". შესაბამისად, დგინდება აფილირება სს "სილქნეტსა" და შპს "ვაიმაქს ჯორჯიას" შორის.

შპს "ვაიმაქს ჯორჯია" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "ვაიმაქს ჯორჯია" ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის შემდეგ ლიცენზიებს:

1.რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია № F64, შემდეგი სალიცენზიო პირობით:

რადიოსიხშირული ზოლი: 2350 მჰც-დან - 2400 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში - ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის რაიონების ტერიტორიაზე;

2. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია № F66, შემდეგი სალიცენზიო პირობით:

რადიოსიხშირული სპექტრი: 2350 მჰც + 2382 მჰც სიხშირულ დიაპაზონში უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილოვანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის ქ.თბილისში;

3.რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია № F68, შემდეგი სალიცენზიო პირობით:

რადიოსიხშირული სპექტრი: 2350მჰც-დან 2382 მჰც-მდე სიხშირულ ზოლში უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილიანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე (ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხონის რაიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა);

შპს "ვაიმაქს ჯორჯია" "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-18 პუნქტის საფუძველზე მართლზომიერად ფლობს №N137 ლიცენზიით გაცემულ ნუმერაციის რესურსს: 1-0-7-5 (ერთი-ნული-შვიდი-ხუთი) საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურების განსახორციელებლად.

შპს "ნოვუსი" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

